რუსთაველის პროსპ. №16

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

რუსთაველის პროსპექტის №16 პროსპექტისა და ბესიკის ქუჩის გადაკვეთაზე დგას და გამოირჩევა თავისი მასშტაბითა და მხატვრულ-ისტორიული ღირებულებით. შენობა 1913-1916 წლებში არქიტექტორ დავით ჩისლიევის პროექტით აიგო, თბილისის არტისტული წრის – „კრუჟოკისათვის“ და XX საუკუნის 10-იანი წლების ნეოკლასიციზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია თბილისში. საბჭოთა პერიოდში აქ ოფიცერთა სახლი იყო.



რუსთაველის პროსპექტი. 1940-იანი წლების ფოტო.

შენობა აქტიურად მონაწილეობს რუსთაველის პროსპექტის სახის შექმნაში და კარგად ასახავს თავისი ეპოქის მხატვრულ გემოვნებას და შესრულების ტექნიკურ დონეს.

პირველი გასართობი და კულტურულ-საქველმოქმედო კლუბი, ამ ადგილას, 1885 წელს „კრუჟოკის“ მიერ ქალაქისაგან იჯარით აღებულ შიოევის

ყოფილ სახლში იყო განთავსებული. 1912 წელს კლუბის საბჭოს შუამდგომლობით ქალაქის სათათბირომ დაადგინა „კრუჟოკის“ შენობის გაფართოება. ამჟამად მდგარი შენობა შეიცავს „კრუჟოკის“ ძველი შენობის კედლების ნაწილებს - შიოევის სახლის გეგმის გარე კონტური დაახლოებით ემთხვეოდა ამჟამად მდგარი შენობისას. როგორც საარივო ფოტოზე ჩანს, შენობის არქიტექტურული სახე ფსევდო რენესანსული სტილის ნიმუშებს მისდევს.



„კრუჟოკის“ ძველი შენობა. 1890-იანი წლების ფოტო.

1913-1916 წლებში აგებული შენობა კი ბერძნული კლასიკის მემკვიდრეობას ეფუძნება. რუსთაველის პროსპექტზე გამომავალი ფასადის ცენტრალური სეგმენტი რომელიც მასიური ფრონტონის ქვეშ არის მოქცეული, გიგანტური ორდერის ექვსი იონიური პილასტრით არის გაფორმებული. პილასტრებს შორის გაჭრილია მართკუთხა ღიობების ორი რიგი. შენობის დამაგვირგვინებელი ნაწილი არქიტექტორის თავისუფალი ვარიაციაა იონიური და კორინთული ანტაბლემენტების მოტივებზე. რუსთაველის პროსპექტისა და ბესიკის ქუჩის

კუთხეში შენობას აქვს მრგვალი ლოჯია დორიული სვეტებით მეორე სართულზე და კარიატიდების ქანდაკებებით (სკულპტორი იაკობ ნიკოლაძე) მესამეზე.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს შენობის ვრცელი სარდაფი. ამჟამად სარდაფში ჩასასვლელი მოწყობილია რუსთაველის პროსპექტის მხრიდან, შენობის მთავარი შესასვლელის მარჯვნივ. სარდაფის კუთხის დარბაზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. 1918 წელს აქ გაიხსნა თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არტისტული კაფე „არგონავტების ნავი“ ან „არგონავტების ვარცლი“ («Ладья аргонавтов»). ჩასასვლელი კაფეს, როგორც ჩანს, კუთხიდან ჰქონდა.

„არგონავტების ნავი“ სიმბოლისტებისა და აკმეისტების შეკრების საყვარელი ადგილი იყო. სხვა არტისტული კაფეებისაგან ის „ამერიკული სტილით“ გამოირჩეოდა. გრიგოლ რობაქიძე ასე აღწერს მას „ფალესტრაში“:

„იქვე ახლო, იმავ რუსთაველის პროსპექტზე, ქვემოთ, სარდაფში, ამერიკული „ბარ“ იყო გამართული, სახელად – „არგონავტების ვარცლი“. „ბარშიაც“ ლექსები იყო, ფუტურისტული ესკიზები, სიმღერა. მაგრამ აქ სხვაც იყო: კოკტაილ „კახურს“ ეცილებოდა. იყო კიდევ სხვა, უფრო მიმზიდველი: თორმეტ ჩადედლებულ ქალიშვილებს მოჰქონდათ სტუმრებთან დაკვეთილი (სასმელი თუ საჭმელი თუ ორივე ერთად)... სტუმრებს (თითქმის ყველას) ერთი რამ ემჩნეოდათ: ცერი და საჩვენებელი თითი ხშირად ხვდებოდენ ცხვირს ნესტოებთან – (ეს ალბად იმის გამო, რომ ტფილისში მაშინ ძლიერ გავრცელებული იყო კოკაინი)“. გახსნიდან მოკლე ხანში კაფეს კედლები მოხატეს კირილ ზდანევიჩმა, ლადო გუდიაშვილმა და ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვმა. 1999-2000 წლებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დროს ბათქაში ჩამოხსნეს და მხატვრობის დიდი ნაწილიც ზედ მიაყოლეს. მისგან გადარჩა მხოლოდ მცირე ფრაგმენტი.

პირველი სართულის არქიტექტურული გადაწყვეტა სრულიად განსხვავდება მეორე და მესამე სართულებისგან. ის თავიდანვე მაღაზიებზე გასაქირავებლად იყო გამიზნული, რამაც განსაზღვრა მისი საფასადო სახე – კედელი ფართო მართკუთხა ვიტრინებით იხსნება პროსპექტისაკენ. მთავარი

ფასადის შუა მონაკვეთის აქეთ-იქით სიმეტრიულად არის განლაგებული ეზოში შესასვლელი ტალანი (მარცხნივ) და შენობის ვესტიბული (მარჯვნივ), საიდანაც შევდივართ შიდა ოთახებში და პარადულ კიბის უჯრედში. ორდერული ელემენტები პირველ სართულზე გამოყენებული არ არის, კედლის ზედაპირი სადაა და მხოლოდ ბრტყელი რუსტიკით არის დამუშავებული.



რუსთაველის გამზ. №16. 2009 წლის ფოტო.

პირველი სართული დამახინჯებული იყო საბჭოთა და, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა პერიოდის გადაკეთებებით – უგემოვნო აბრებითა და ვიტრინებით, რომლებიც შენობის ხასიათს არ შეესაბამებოდა. საბედნიეროდ, გადაკეთებები თითქმის არ შეეხო შენობის არქიტექტურას, ამიტომ 2009-20010 წლებში ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში შესაძლებელი გახდა პირველი სართულის ვიტრინების მეტ-ნაკლებად მოწესრიგება.

პირველ სართულზე თავისი ზომებით გამოირჩეოდა ვრცელი შუა დარბაზი (მეორე სართულის მთავარი დარბაზის ქვეშ). მისი სივრცე გაყოფილია საფასადო კედლის პარალელურად განლაგებული სწორკუთხა მძლავრი სვეტებით. საბჭოთა პერიოდში დარბაზი ორად გატიხრეს და ერთი სვეტი

ტიხარში მოექცა. ამჟამად მარცხენა, უფრო დიდი მონაკვეთი ამჟამად აუთვისებელია (აწერია რომ „ქირავდება“), მარჯვენაში კი, რომელშიც 1990-იანი წლების ბოლოს გალერეა თ შ იყო, ბოლო წლებში კიდევ გაიმიჯნა ორ დამოუკიდებელ სივრცედ. თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი ვიტრინა აქვს და ორივეს თავზე სარეკლამო აბრაა განთავსებული - დღეს აქ განლაგებულია აქსესუარების მაღაზია “პარფოისი” და პარფიუმერიის მაღაზია “ივ როშე”. ყოფილი გალერეის სივრცეში მოწყობილი მაღაზიების ვიტრინები ერთნაირი დიზაინით არის შესრულებული და მათი დანაწევრების ხასიათი ერთმანეთის მიმართ სინეტრიულია.



რუსთაველის გამზ. №16. 2008 წლის ფოტო.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამ ნაწილმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება - აქ სხვადასხვა დაიშნულების ობიექტები იყო განლაგებული (პროკრედიტ ბანკი, გალერეა TMS) და სარეკლამო აბრებიც ამის შესაბამისად იცვლებოდა. სახეცვლილი ფასადის პირველი სართული 2010 წელს

რეკონსტრუქციისას ერთიანი დიზანით მოწესრიგდა. ძველი დაზიანებული ვიტრინების ჩარჩოები ხის მასალით შეიცვალა. ჩარჩოების ხის ზედაპირი ხეში ნაკვეთი დეკორით არის დამუშავებული და ფრამუგებითა და „ალათებით“ არის დანაწევრებული.



რუსთაველის გამზ. №16. საპროექტო სეგმენტი.

დასკვნა და რეკომენდაციები

რუსთაველის პროსპ. №16 თბილისის არქიტექტურის მხატვრულად და ისტორიულად ღირებული ნიმუშია, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აღინუსხა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსთაველის პროსპექტის სახის შექმნაში. ამდენად, მასში

ყოველგვარი ჩარევა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, რომ არ დაირღვეს შენობის მხატვრული მთლიანობა.



რუსთაველის გამზ. №16. საპროექტო სეგმენტი.

საპროექტო სეგმენტი შენობის პირველ სართულზე მდებარეობს, რომელიც იმთავითვე მაღაზიებისთვის იყო განკუთვნილი. შიდა სივრცე რუსთაველის პროსპექტს ერთი ვრცელი ვიტრინით უკავშირდება. ვიტრინას ხის ჩარჩო მოსაზღვრავს, რომელიც დატიხრულია დეკორით შემკული ხისავე ალათებით. განაპირა ნაწილში ცალფრთიანი კარია დატანებული.

საპროექტო წინადადებით განზრახულია "პარფოისის" მაღაზიის სარეკლამო აბრის შეცვლა ახალი ბრენდის სახელწოდებით, რომელიც აქ განთავსდება. გვერდით მდებარე „ივ როშეს" მაღაზიის ვიტრინის თავზე მომწვანო ფერის გაუმჭვირვალი სარეკლამო აბრაა დამაგრებული, რომელზეც ბრენდის ლოგო და დასახელება ცალკეული ასოებით არის გამოყვანილი, „პარფოისის" ვიტრინის თავზე კი ასოები პირდაპირ კედელზეა დამაგრებული.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების განხორციელება დასაშვებია – სარეკლამო აბრები რუსთაველი პროსპექტის თითქმის ყველა ვიტრინას აქვს.

მოცემულ „სეგმენტშიც“ მისაღებია ბანერის განთავსება „ივ როშეს“ ბანერის სიმეტრიულად.

მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს შენობის კედლის დაზიანება. სასურველია გაკეთდეს კორექტული, არამყვირალა დიზაინი თუმცა ნათლად აღსაქმელი ფერებით.

ხელოვნებათმცოდნე
მარინე ხატიაშვილი

